

# საქართველოს



დაარსებულია  
1918 წლის.



პარასკევი, 29 მარტი, 2013 წლი.  
№58 (7185)



იმისთანა წმინდა საქობი, როგორიც ბაჭყალი სიცყვაა, ფულილიბით და ჭრიბით ბურთის გაფანა ყველა უკადრის მიმართაში უსაბაგლებია.



# კიბეჭილის

ელექტრონული ფოსტა: [sakresp@mail.ru](mailto:sakresp@mail.ru) და [sakresp@wanex.ge](mailto:sakresp@wanex.ge)

ვებ გვერდი: [www.open.ge](http://www.open.ge)

ფასი 50 თათრი.

## „ესაა, ბიჭო, ჰაი სერლა ვიციო? ა ემო დვარიანინ“!..

ამერიკაში დაწერილი სცენარის  
მიხედვით, 1 ოქტომბერს 60-40 %-  
ზე ნაცეპტის სასარგებლოდ უნდა  
დაფიქსირებულიყო და იმ „ოპო-  
ზიციურ“ 40%-ში ქდმ, ახლები, ლე-  
იპები, პადოშები, ედპ და ა.შ. ნაცე-  
პტის სატელიტებიც შევიდოდნენ და  
ქართულ ოცნებას 20-22% თუ ერ-  
გებოდა მხოლოდ!

③



კახა კუკავა:  
ახართვალ გუდე  
კოაბიტაციის  
სიტყპრებამ  
სახართლიანობის  
აღდგენა  
დაავიწყა

4

რეფორმების  
ეიღოსტეატი -  
ხელისუფლებიდან  
მყავი და  
მომთხოვნე  
ოპოზიციო-  
ნარობამდე...


„ხალხი არ  
ვვარგივარო...  
დოყლაპიებივით  
ვუსმინთ ამათ  
② დადგმულ  
სკოლტაკლებს“

ეგულავა „აუქციონების“  
„გაკრავებას“ ცდილობს  
და ხარვეზიანი  
კროეპი ჰემოაქვე ⑤



5

საინილომი ქართველ  
მღვდელს ნირვის ჩატარების  
უფლებას 40-წელიანი  
ლიმიტით აქლევე



9











**(გვერდის გვერდისა) — ბატონი კახა, შევიცარიის ელჩმა  
გიურგიერ ბეჭლერმა საქართველოს  
პრემიერ-მინისტრ ივანიშვილს დია წერილით მიმართა და  
ეს წერილი „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ევროპის სა-  
ხალხო პარტიის“ მიმართ საკმაოდ კრიტიკულია. როგორ შე-  
აფასებდით ამ წერილს?**

— მე მგონია, რომ ჩვენ ისევ 2012 წლის გაზაფხულს და-  
კუპრუნდებით. ალბათ, ახლა გამოკვეყნდება სხვა ელჩის  
წერილი, რომელიც, სავარაუდოდ, „ნაციონალურ მოძრა-  
ობას“ დაუჭირს მხარს და მერე იქნება ამ წერილების შე-  
ჯიბრება. შემდეგ დაიბეჭდება შეკვეთილი სტატია „ნიუ-  
იურკ თაიმსში“, ამას მოჰყევბა საპასუხო წერილი „გარ-  
დიანში“. ჩემი აზრით, ეს არ არის ყველაზე საინტერე-  
სო საკითხი. საერთოდ ვფიქრობ, რომ „ნაციონალური  
მოძრაობა“ და „ქართული ოცნება“ ერთმანეთს არიან შეზ-  
რდილები. ისინი არიან ერთი დიდი პოლიტიკური პარ-  
ტიის ორი ფრაქცია, რომლებიც ქმნიან ამ ფარსს, სახელ-  
წოდებით „კოაბიტაცია“, და არარეალურ, არასერიონულ  
თემებზე მიმართავენ საზოგადოების ყურადღებას.

როგორც არ არის საინტერესო შეკიცურის ელჩის ნერილი, ისე არ იყო საინტერესო ის საკონსტიტუციო ცვლილება, რომელიც გასულ კვირას იქნა მიღებული, რადგან ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრებაზე არა-ნაირ გავლენას არ ახდენს. სამაგიეროდ, ეს ორი პოლიტიკური ძალა საკმაოდ წარმატებულად არიდებს საზოგადოების ყურადღებას ისეთ თემებს, რომლებიც ჩვენი მოქალაქეებისთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანია. ამის მაგალითად შემიძლია დაგისახელოთ ევროპული ქარტია რეგიონული და უმცირესობათა ენების შესახებ. ამ ქარტიის რატიფიცირება (რაც კოალიციის ერთ-ერთმა სუბიექტმა, „რესპუბლიკურმა პარტიამ“ დაადასტურა და ამიტომ მმართველი კოალიციის პოზიციად შეგვიძლია განვიხილოთ), არის საქართველოს შემდგომი დეზინტეგრაცია. ზუსტად ასე დაიწყო თავის ძროზე პროცესები აფხაზეთში და სამაჩაბლოშიც. სხვათა შორის, აფხაზეთიც საქართველოს მთავრობამ დაკარგა და ახლაც, ამ ქარტიის რატიფიცირების გზით, საქართველოს ხელი-სუფლება იწყებს საქართველოს დეზინტეგრაციას, მაგრამ ეს არ ხდება არც ერთი პარტიის და არც მედიის ინტერესის საგანი. ეს არის ის მანვიერი და მოჯადოებული წრე, რომლის საშუალებითაც იმართება ჩვენი საზოგადოება და ჩვენი სახელმწიფო.

— ექსპერტთა ნაწილი ამბობს, რომ „ქართულ ოცნებას“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ შორის დაბირისპირება მხოლოდ და მხოლოდ დადგმული სპექტაკლია. თქვენ რას ფიქრობთ ამსახურის დაკავშირებით?

**ობას?**  
— ხვალ გვექნება პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ანთიაზაგიბის პრიზიტიაზავა ათა სამივე საარჩევნო ოლქში

— როგორც ცნობილია, თევენ „ქართულ ოცნებას“ მიმართ არ მოგიღენთ ჩვენს კანდიდატებს.

თეთ შუალედურ არჩევნებში მხარდაჭერისთვის. მიიღეთ მათგან რაამზე სახის გამოხმაურება?

დღეს უკანა და უკანა განცხადება სამივე ლქში საკუთარი კან-  
დიდატების წამოყენებასთან დაკავშირებით. ბუნებრი-  
ვია, მათ ამის უფლება აქვთ, თუმცა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ  
მათი მხრიდან ეს არაკოლეგიალური და უხერხული ნა-  
ბიჯია. როდესაც „ქართულმა ოცნებაზ“ ჩვენ მოგვიწო-  
და მხარდაჭერისაკენ, ჩვენ გაგებით მოვეციდეთ მათ თხოვ-  
ნას, დაუკუთმეთ ყველა ოლქი და მათი პრემიერ-მინისტ-  
რობის კანდიდატს დაუჭირეთ მხარი. ასევე წინასაარ-  
ჩევნო პერიოდში არ დარჩენილა „ქართული ოცნების“  
წინააღმდეგ არც ერთი რეპრესა, რომ ჩვენ მათოვის სო-  
ლიდარობა არ გამოვცემადებინოს. გახსოვთ, ალბათ,  
რომ ჩვენ ვიყავით მაშინ ერთადერთი საარჩევნო სუბი-  
ექტი, რომელიც „ქართულ ოცნებას“ სოლიდარობას  
უჭხადებდა. სამწუხაროდ, დღეს ამაზე საპასუხო ნაბი-  
ჯი ვერ მივიღეთ.

# ქახა კუპავა: მარტველ გუნდს კრაპიტაციის სიტყვებისამ სამართლიანობის კლდგანა დაავინუა



ადამიანები, რომლებმაც 1 ოქტომბერს „ნაციონალური მოძრაობის“ მოშორებისთვის ყველაფერი გააკეთეს, არ ფიქრობენ, რომ „ნაციონალური თავისუფალ საქართველოზე“ უფრო ჯანსაღი და რეალური ოპოზიციაა. ამიტომ, 27 აპრილის შუალედურ არჩევნებზე, პირველ რიგში „ქართულ ლცხების“ ამომრჩევლის იმედი გვაძეს.

— საპარლამენტო უმრავლესობა და უწციორესობა კონსულტაციებს მართავს „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონბროებტან დაკავშირებათ. როგორია თქვენი შეფასება ამ კანონბროებტან და, საერთოდ, ამ პროცესთან დაკავშირდეთ?

— ეს შეკითხვა არსებითად წინა შეკითხვის პასუხია და იმ თემასაც ეხება, რომლითაც მე დავიწყე საუბარი. საბანკო ვალებთან დაკავშირებით იუსტიციის მინისტრთა გვინდოდა შეხვედრა და ვერ მოვახერხეთ. აუქციონების შეჩერებასთან დაკავშირებით გვინდოდა შეხვედრა ფინანსთა მინისტრთან და ვერც ეს მოვახერხეთ. ჩუქებებთან დაკავშირებით ეკონომიკური ბლოკის სამინისტროებთან გვინდოდა შეხვედრა და ვერ მოვახერხეთ. „ქართული ოცნების“ კარები დახშულია ჩვენთვის, არასაპარლამენტო ოპოზიციისთვის და იმ ადამიანებისთვის, რომლებიც მათთან ერთად ცხრა წლის განმავლობაში ბარიკადების ერთ მხარეს ვიბრძოდით. სიმართლე გოთხვრათ, არა მხოლოდ პოლიტიკურად, არამედ ადამიანურადაც გააღმენებული ვარ, რომ „ქართული ოცნება“ ჩვენთან თანამშრობლობის ნებისმიერ დოკრმაზე უარს ამბობს. სამა-

გიეროდ, ჩვენ ყოველდღე ვხედავთ საპარლამენტი კაბინეტებიდან ბაქრაძე და ხიდაშვილი გაღიმებული სახეებით როგორ გამოიდიან ერთად და ერთად განიხილავენ კულტურულ საკითხს.

თუ შეიძლება თანამშრომლობა იმ ადამიანებთან, რომ-  
ლებსაც ჩვენ ყველა ერთად ბრალს ვდებდით ორგანიზე-  
ბულ დანამაულში, მკვლელობებში და კორუფციაში, რა  
მოხდა და რა შეიცვალა „ქართული ოცნების“ ლიდერებში  
ისეთი, რომ დღეს აღარც თავიანთი ყოფილი პარტნიო-  
რებისკენ უნდათ გახედვა, არც ამომრჩევლებისკენ და არც  
საზოგადოებისკენ? რა დაანახავა ასეთი „ნაციონალურ-  
მა მოძრაობამ“ „ქართულ ოცნებას?“ ეს მეტამორფოზა  
ძალიან საშიშია და ამტომ, ვფიქრობ, რომ „თავისუფალი  
საქართველო“ და „ქართული ოცნების“ ამომრჩეველი ერ-  
თად უნდა დავეხმაროთ დღეს პრემიერ-მინისტრს იმით,  
რომ გამივალებიზღვოთ. თუკი 27 აპრილის არჩევნებში  
პარლამენტში საბ მინდაგს „თავისუფალი საქართველო“,  
ზოგადად არასაპარლამენტო ოპოზიცია, მოიპოვებს, ეს  
გამომაზეობიზღვებელი იქნება დღევანდელი ხელისუფლე-  
ბისთვის.

გახსოვთ, ალბათ, ბევრმა ხელისუფლებამ ძალიან კარგად დაიწყო, მათ შორის გვახსოვს სააკაშვილი, რომელსაც თავისი შმართველობის პირველი წლების განმავლობაში აბსოლუტური რეიტინგი ჰქონდა. სამზუხაროდ, მაშინ ჩვენ (ვინც განსხვავებულ აზრზე ვიყავით), არ გვეყყო ძალა, რომ ის რეუიმი იმ თავპრუსდაბევერისგან გამოგვეფიზლებინა, რომელშიც ის თავისი წარმატებების წყალობით იმყოფებოდა. დღეს თუ ქართულ საზოგადოებას არ უნდა, რომ იგივე შეცდომა დაუშვას და მესაინზმის ეიტორინაში არ ჩაიხსრიოს პარტია, რომელმაც 1 ოქტომბერს პოლიტიკური პროცესები ძალიან კარგად დაიწყო, „ქართული ოცნებისთვის“ ყველაზე დიდი დახმარება დღეს იქნება, რომ ამ არჩევნებში მხარი დაუჭიროთ პარტია „თავისუფალი საქართველოს“ დეპუტატებს, რათა პარლამენტში იყოს ჯანსაღი ოპოზიცია, რომელსაც ყველა საკითხზე შეეძლება განსხვავებული აზრის გამოთქმა.

„ქართულ ოცნებას“ ყველაზე მეტად რაც სჭირდება, ეს არის ერთი, ორი, ან სამი ადამიანი პარლამენტში, რომელიც ნებისმიერ საკითხზე კონსტრუქციულ ოპონირებას გაუწევს მას. მე არაფერს ვამბობ ჩემს მიერ გამოგონილს. ეს არის ის, რაც მრავალი ათეული წლის წინათევროპის წარმატებულმა ქვეყნებმა გამოიგონეს. არ არსებობს დემოკრატია ოპოზიციის გარეშე, ეს არის აქსიომა. ამიტომ ძალიან მაინტერესებს „ქართული ოცნების“ არგუმენტები, როდესაც სამივე ოლქში კანდიდატები დააყენეს, როგორ აირჩებენ ისინი ევროპული დემოკრატიის შექმნას, რაც წინასაარჩევნო პროგრამაში უწერიათ, თუკი არ ცნობენ ოპოზიციას, თუკი არ აღიარებენ ოპოზიციის საჭიროებას?!

— არასაბარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებს თუ გქონდათ კონსულტაციები ერთმანეთთან და ხომ არ აპირებთ რაიმესახის გაერთიანების შექმნას?

— არა, გაერთიანებასთან დაკავშირებით არანაირი კონსულტაციები არ გვაქვს, რადგან მოგეხსენებათ, ჩვენი პოლიტიკური პარტია განსხვავებული ხედვების მატარებელია. საერთოდაც, ჩვენი პარტია განსხვავებული მარტო ჩვენს ხედვებში კი არ ვართ, არამედ იმაშიც, რომ საერთოდ გვაქვს ხედვები. მე ძალიან იმედგაცრუებული ვარ იმით, რასაც საქართველოს პარლამენტში ვხედავ. რა მოხდა ასეთი პირველი ოქტომბრის შემდეგ, რა დიმედროლი დალიეს ასეთი, რომ საერთოდ დავინი ყდათ, როგორი ადამიანები იყვნენ პირველ ოქტომბრამდე?

გახსოვთ, ალბათ, რა ხდებოდება პათუში აზიზიეს მე-  
ჩეთან დაკავშირებით. იქ ყველა პარტიის დროშა ერ-  
თმანერში იროვდა, ყველა ერთად გამოვდიოდით პრო-  
ცესტით, ზოგი აქციის მართვდა, ზოგი ასფალტზე წვე-  
ბოდა და ა.შ. ყველა ერთად ვიყავით და ვაჩიბობდით, ამის  
გაკეთება არაფრით არ შეიძლებოდა. შეიძლება ზოგი დე-  
პუტატი კომფირომანისტი გამოღვა, მაგრამ ვერაფრით ვერ  
დავიჯერებდი, რომ 147 დეპუტატს შორის არ აღმოჩნ-  
და ერთი, რომელიც იტყოდა, რომ ამის გაკეთება დღე-  
სას არ შეიძლება.

ევროპული ქარტიის – რეგიონული და უმცირესობების

დღეებში მართლმადიდებლური და ტრადიციული ეროვნული ოქებებით (სპეცულირება), რომელიც იტყოფა, რომ ამ ქართის რატიფიცირება არ შეიძლება. ამიტომ პარლამენტში ჩვენი შესვლა იმ მხრივაც არის მნიშვნელოვანი, რომ თუ უმრავლესობას „ქართული ოცნების“ სამი დეპუტატი დაემატება, ამას ვერ მიხვდება ვერც ერთი საარჩევნო ოლქი და ვერც საქართველო, რადგან ისინი ვერაფერს იტყვიან. სამწუხაროდ, როგორც ჩანს, საპარლამენტო უმრავლესობას ლაპარაკის მანდატი არ აქვს. ამიტომ, თუ ქართულ საზოგადოებას უნდა, რომ ვიღაც მათ პრობლემატიკა გაამომარის, ჩვენი კანდიდატების პრეზენტაციის შედეგებ, უახლოეს დღეებში საზოგადოებას წარვუდგენ იმ კანონპროექტების წუსხა, რომ-ლებსაც „თავისუფალი საქართველოსაც“ დეპუტატების პარლამენტში მოხვედრის შემთხვევაში, საკანონმდებლო ორგანოს მაისში წარვუდგენთ განსახილველად. აქ იქნება კანონპროექტები საბანკო ვალებთან დაკავშირებითაც, სამართლიანობის აღდგენის კუთხითაც და ამ ინიციატივაბრძან წაზრულებით საზოგადოებას“.

რესიპოზიტორი









